ხელშეკრულება N06-84/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი "30" 06 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მამუკა ბერიძის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი")
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202051224

მეორე მხრივ, ა(ა)იპ. კავშირი მდგრადი განვითარებისათვის "ეკოვიჟენ", მისი დირექტორის სერგი სოფაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")
ს/კ: 205 276 280
მის: ქ.თბილისი, გ.მაზნიაშვილის# 4
ტელ: 032 2554020
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE06BG0000000330997100

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 28 ივნისის N755029 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N1261 განკარგულების საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ,,საზაფხულო სკოლების" პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს რეგიონების (სავარაუდოდ) 1500 მოსწავლისთვის საზაფხულო სკოლა - „ეკობანაკი 2017„ განხორციელების მიზნით მომსახურების (CPV804010000) შესყიდვა.
2.2 გასაწევი მომსახურების აღწერილობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის და დანართი N1-ის პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს *166 785.00* (ასსამოცდაექვსი ათას შვიდასოთხმოცდახუთი) ლარს.

3.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილებში:

აქტივობის დასახელება („დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად" (საზაფხულო სკოლა - ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა))	განზომილება	რაოდენობა	აქტივობის ერთეულის ფასი (ლარი)	აქტივობის ღირებულება ერთი ნაკადის მიხედვით (ლარი)	აქტივობის ღირებულება 10 ნაკადის მიხედვით (ლარი)
ბანაკის მენეჯერი	მენეჯერი/ნაკადი	1/10	625	625	6250
ადმინისტრაციული ასისტენტი	ასისტენტი/ნაკადი	1/10	572.5	572.5	5725
ტრენერის/ექსპერტის ჰონორარი	ტრენერი/ნაკადი	6/10	300	1800	18000
ლიდერის ჰონორარი	ლიდერი/ნაკადი	6/10	500	3000	30000
ექსკურსია დელფინარიუმში (ტრანსპორტირებით)	მონაწილე/ნაკადი	166/10	22	3652	36520
ექსკურსია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (ტრანსპორტირებით)	მონაწილე/ნაკადი	166/10	10.50	1743	17430
ექსკურსია ბათუმის აკვარეუმში (ტრანსპორტირებით)	მონაწილე/ნაკადი	166/10	11.50	1909	19090
ექსკურსია ქ. ბათუმში (ტრანსპორტირებით)	მონაწილე/ნაკადი	166/10	9.5	1577	15770
ინვენტარი სპორტული აქტივობები / თამაშები, ლაშქრობები	მონაწილე/ნაკადი	150/10	10	1500	15000
გაუთვალისწინებელი ხარჯები	ნაკადი	1/10	300	300	3000
სულ: *166 785.00* (ასსამოცდაექვსი ათას შვიდასოთხმოცდახუთი)					

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების მიწოდების წესი და პირობები:

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების (სავარაუდოდ) 1500 მოსწავლისთვის „ეკობანაკის" მომსახურება. ბანაკის პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო, თემატური ტრენინგები და კვლევითი სამუშაოები, ასევე მრავალი სპორტული ღონისძიება და სათავგადასავლო თამაში. ასევე, ექსკურსიები ქ. ბათუმში, ბოტანიკურ ბაღში, აკვარიუმსა და დელფინარიუმში. ბანაკები განხორციელდება 10 ნაკადად. (თითო ნაკადში სავარაუდოდ 150 მოსწავლე).

4.2 საზაფხულო „ეკობანაკის" საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ გარემოსდაცვით თემებს:

- ბიომრავალფეროვნება-დაცული ტერიტორიები,
- ნარჩენების მდგრადი მართვა,
- კლიმატის ცვლილება-ენერგოეფექტურობა,
- წყლის რესურსები და ჰაერის დაბინძურება,
- ბუნებრივი კატასტროფები,

- ეკოკლუბები და სამოქმედო გეგმა.

4,3 საზაფხულო ეკობანაკის პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოზარდებში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მეშვეობით.

4.4 საზაფხულო სკოლების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ა) მიმწოდებელმა უნდა შეიმუშაოს და მოსწავლეებს შესთავაზოს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე შეჯერებული გარემოსდაცვითი, შემეცნებით-გასართობი და სპორტული აქტივობები. წარმოდგენილი საგანმანთლებლო ტრენინგ-პროგრამები ამ მიმართულებებით (გარემოს დაცვა, სპორტი) უნდა მოიცავდეს ისეთ თემებს, რომლებიც საინტერესო იქნება მოსწავლეებისთვის და ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, საბუნებისმეტყველო დისციპლინების პოპულარიზაციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ბ) ერთ ბაზაზე თითოეულ ნაკადში მონაწილეობა უნდა მიიღოს არაუმეტეს 150 მოსწავლემ. მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია შეარჩიოს საჭირო რაოდენობის ტრენერები და ლიდერები, რომლებიც გადანაწილებული იქნებიან შემდეგი პროპორციით: თითოეული ტრენერი და ლიდერი მოემსახურება არაუმეტეს 25 მოსწავლეს. აქტივობების შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და მართვის მიზნით, მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს 1 ეკობანაკის მენეჯერი და 1 ადმინისტრაციული ასისტენტი. ხოლო შემსყიდველი უზრუნველყოფს არაუმეტეს 19 მოსწავლეზე -1 მანდატურის გამოყოფას.

4.5 ნაკადები განხორციელდება ქვემოთ მითითებული განრიგის შესაბამისად:

ნაკადის დაწყების თარიღი	ნაკადის დასრულების თარიღი	მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ ნაკადზე
09,07,2017	15,07,2017	150
15,07,2017	21,07,2017	150
21,07,2017	27,07,2017	150
27,07,2017	02,08,2017	150
02,08,2017	08,08,2017	150
08,08,2017	14,08,2017	150
14,08,2017	20,08,2017	150
20,08,2017	26,08,2017	150
26,08,2017	01,09,2017	150
01,09,2017	09,09,2017	150

შენიშვნა: ბოლო, მე-10 ნაკადი იქნება 9 დღიანი.

4.6 „ეკობანაკის“ დაწყებამდე, მიმწოდებელი უფლებამოსილია უზრუნველყოს წინასწარ შერჩეული ტრენერებისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

4.7 მიმწოდებელმა უნდა შეიმუშაოს შინაგანაწესი, რომლის დაცვაც სავალდებულო იქნება მონაწილეთათვის.

4.8 მიმწოდებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს პროგრამით გათვალისწინებული შემეცნებით-გასართობი აქტივობები და თითოეული ნაკადისათვის მინიმუმ სამი ექსკურსია დელფინარიუმში, აკვარიუმში, ბოტანიკურ ბაღში და ქ. ბათუმში. (ექსკურსიებზე ტრანსპორტირებას განახორციელებს მიმწოდებელი).

4.9 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით, საკანცელარიო, სპორტული და სხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ყოველი ნაკადის დასრულების შემდგომ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.
6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) შტატგარეშე მოსამსახურე, პროექტის მენეჯერი - ლალი კალანდაძე (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირი).

7. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

7.1 მომსახურება განხორციელდების ადგილი: საქართველო, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა, სალიბაურის N2 საჯარო სკოლის ბაზა. აღნიშნულ ბაზაზე მონაწილეთა ტრანსპორტირებას, ღამისთებისა და კვების მომსახურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
7.2 მომსახურების გაწევის ვადა: 2017 წლის 9 ივლისიდან - 10 სექტემბრამდე.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
8.1.2 მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მომსახურების განხორციელების პერიოდში შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი.
8.1.3 შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს ხარვეზით შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია:
8.3.1 მიაწოდოს მიმწოდებელს „ეკობანაკი 2017“ მონაწილე პირთა (მოსწავლეთა) სია, საკონტაქტო ინფორმაცია (პირი, ტელ. ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი).
8.3.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი - თამარ მალაზონია.
9.2 მომსახურების დასრულების შემდგომ (სრულად ან ეტაპობრივად) კონტროლის განმახორციელებელი პირი ადგენს აქტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან დაკავშირებით.
9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
9.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.3 ხელშეკრულების 8.1.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში ყოველ ჯერზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით.
10.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
10.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.
10.7 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.5 მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს მაჟორი

12.1 მხარეებს მოეხსნებათ პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაჩენილი ფორსმაჟორული მდგომარეობით.
12.2 ამ ხელშეკრულების კონტექსტში ზემოთხსენებულ მოვლენებს მიეკუთვნება: სტიქიური უბედურება, ომი ან საომარი მოქმედებები, გაფიცვა დარგში ან რეგიონში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (კანონი ან/და კანონქვემდებარე აქტი), ასევე სამაუწყებლო ეთერის ოპერატიული გადაცემა საქართველოს ოფიციალური პირების გამოსვლისთვის, სახელმწიფო მმართველების ოფიციალური ვიზიტის გაშუქება და სხვა გარემოებები, რაც შეუძლებელს ხდის ან/და ართულებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს ტელეარხებიდან ოფიციალური წერილობითი დასაბუთება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**ა(ა)იპ. კავშირი მდგრადი განვითარებისათვის "ეკოვიჟენ" დირექტორი**
მამუკა ბერიძე	**სერგი სოფაძე**
---	---